# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 17 (4521) ● 23 დეკემბერი ● 2015 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●


## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

### სახალხო მწერალი – თბილისის 36-ე საჯარო სკოლაში

# ყველაზე ძვირფასი გაკვეთილი



**მწერლის** მისვლას სკოლაში და მის ცოცხალ სიტყვას მოსწავლეებთან ყოველთვის ჰქონდა, და დღეს – მით უფრო, უდიდესი სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. აკი ამბობს ტატო: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემისო“.

მწერალი ხომ ცხოვრების დიდი მასწავლებელია და, ამდენად, მისი საუბარი მოზარდებთან ყველაზე ძვირფასი გაკვეთილია. ბოლო დროს ასეთი ხიბლის გაკვეთილები უიშვიათესი ხილი გახდა. ამ ფონზე **ოქროს გამონათება** იყო საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, კლასიკოსი და სახალხო მწერლის, **რევაზ მიშველაძის** სტუმრობა თბილისის 36-ე საჯარო სკოლაში. დიდი მადლობა სკოლის დირექტორ **მაია კვინიკაძეს**, რომელმაც ამ ბრწყინვალე ლიტერატურულ ღონისძიებას (დირექტორი თავად მათემატიკის ჩინებული სპეციალისტია) ხელი შეუწყო და აქტიურად მხარში ამოუდგა.



* * *

**ამა** წლის 16 დეკემბერს გაიმართა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, პროზაიკოსის, 25 ტომეულის ავტორის, **რევაზ მიშველაძის** საიუბილეო საღამო და შეხვედრა თანათავმჯდომარესთან **მაყვალა გონაშვილთან**. ამ ემოციურ საღამოს უმასპინძლა დედაქალაქის 36-ე საჯარო სკოლამ. შეხვედრის წარმატებით, ხალისიანად, ნაყოფიერად ჩატარებისთვის გულითადად იზრუნა სკოლის დირექტორმა, გამოცდილმა ხელმძღვანელმა და პედაგოგმა **მაია კვინიკაძემ**.

პროექტით **„თანამედროვე ქართული მწერლობის კორიფეები“** წარმოდგენილი იყო **რევაზ მიშველაძის** ნოველა **„არ შემიშინდე“**.

სცენარის ავტორი და რეჟისორია **სერგი ლომაძე** და **კახა ბაციკაძე**. წარმოდგენა გაჯერებული და გამდიდრებული იყო ქართული სიმღერებით, ცეკვებით. პოეტ **მაყვალა გონაშვილის** ლექსებს მხატვრულად კითხულობდნენ მე-2 და მე-6 კლასის მოსწავლეები. მიღწეული იყო მოსწავლეთა მასობრივი, არაჩვეულებრივი ჩართულობა და აქტივობა ამ ღონისძიებაში.

პროექტში ასევე მონაწილეობდნენ (თბილისის 36-ე საჯარო სკოლაში იმყოფებოდნენ) ქალაქ სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

მათ ოსტატურად წარმოადგინეს **რევაზ მიშველაძის** ნოველა **„კოჭლი მტრედი“** (დირექტორი **ლ. ხაჟალია** და მე-6 კლასის დამრიგებელი **ლ. პირტახია**).

პროექტის ხელმძღვანელი გახლდათ დაწყებითი კლასების გამოცდილი, შემოქმედი მასწავლებელი **ციური ხუჭუა**.

საინტერესო, მომხიბლავ საღამოს ესწრებოდნენ ძველი თბილისის რესურსცენტრის უფროსი **თამარ კეშელავა**, ქართველი მწერლები და მხატვრები. აგრეთვე **ჯუმბერ ლეჟავას** სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის თავმჯდომარე **გულნაზ ხარაიშვილი**, მდივანი **გ. ბეჟიტაშვილი** და სხვა წევრები.

როგორც ზემოთ ვთქვით, ამ ღონისძიებას მოსწავლეებისთვის უაღრესად დიდი სასწავლო-აღმზრდელობითი დატვირთვა და მნიშვნელობა ჰქონდა, იმდენად ემოციურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა იგი.

**ნინო შაბურიშვილი**





**რედაქტორის მინაწერი:** არამარტო მწერლები, არამედ სახელგანთქმული მეცნიერები, მსახიობები, მომღერლები, მხატვრები, სპორტსმენები უფრო მეტჯერ და სისტემატურად უნდა მოიწვიონ სკოლებმა.

ასე ხშირად რომ ვიმეორებთ **„უნარებიო“, პოპულარულ ადამიანებთან შეხვედრები არის მოსწავლე ახალგაზრდობაში მრავალმხრივი უნარ-ჩვევების, ნიჭიერების აღზრდა-ჩამოყალიბების ყველაზე ეფექტიანი საშუალება.**



## გილოცავ!

გილოცავ! გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ
შენ, ვისაც სამშობლო გიყვარს,
გელა ხარ! თინა ხარ!
შოთა ხარ! ცირა ხარ!
ეს სულერთია – ვინ ხარ.
ახალი წელია...
თოვლიც გვესალმება...
თოვლიც გვესალმება ციდან.
– ცრემლები?! – ცრემლებზე –
ბოდიში!
– ღიმილი?! – ღიმილი
რამდენიც გინდა.
ბავშვებო! თქვენსავით
მეც ვიყავ მოსწავლე,
მე დღესაც არ ვსწავლობ განა?
ამიტომ ერთმანეთს,
ამიტომ ერთმანეთს
ვუსურვოთ ხუთებზე სწავლა!
გიყვარდეს სამშობლო,
სიმართლე გიყვარდეს
გიყვარდეს, გიყვარდეს წიგნი.
რაც უნდა ისურვო,
რაც უნდა ინატრო, –
ესაა ყველაზე დიდი.
გილოცავ! გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ
შენ, ვისაც სამშობლო გიყვარს...
ზაზა ხარ! ლაშა ხარ!
ვაჟა ხარ! ნინო ხარ!
ეს სულერთია – ვინ ხარ!

**მუხრან მაჭავარიანი**



## მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

# „ეჰ წუთით მაინც დაბრუნდებოდეს

**როგორ ცხოვრობთ, 29-ე ბაგა-ბაღელებო?**

## პატარებს ხიბლავს ეს ზღაპრული სამყარო



– **არაჩვეულებრივი** წესრიგი, სისუფთავე, კომფორტი და რაც მთავარია, მომავალ თაობაზე განსაკუთრებული ზრუნვა, მათი სანიმუშო მოქალაქეებად აღზრდა – ეს გახლავთ დევიზი თბილისის 29-ე საბავშვო ბაგა-ბაღისა, რომელიც ყოველთვის დისციპლინით გამოირჩევა და მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული.

ბაღში შესვლისთანავე იგრძნობა მზრუნველი ხელმძღვანელის ხელი. ეზო მოპირკეთებული და დამშვენებულია ლამაზი ყვავილებით თუ სათამაშოებით. საბავშვო ოთახები და დერეფნები ისეა მორთულ-მოკაზმული თვალსაჩინოებებით, თავი ზღაპრულ სამყაროში გეგონებათ. ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, იგი აბსოლუტურად მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა...ერთი სიტყვით, ბაღში ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ პატარებმა თავი ბედნიერად და კომფორტულად იგრძნონ.

29-ე ბაგა-ბაღს სათავეში უდგას ღვაწლმოსილი პიროვნება, თავისი საქმის კარგი მცოდნე **ლალი ნოზაძე**. იგი, უკვე 35 წელიწადია ბაღში მოღვაწეობს და ვინ მოთვლის რამდენი თაობის აღმზრდელია. არის 4 შვილის დედა და 13 შვილიშვილის ბებია, ამიტომაც კარგად ესმის ბავშვის ფსიქოლოგია და დიდი რუდუნებით და სიყვარულით ემსახურება პედაგოგის ამ საპატიო პროფესიას. საამაყოა ის ფაქტი, რომ ქალბატონი ლალი გახლავთ ცნობილი მოჭიდავის, მსოფლიო ჩემპიონის **რამაზ ნოზაძის** დედა.

ქალბატონმა ლალიმ თავდაპირველად აღმზრდელად დაიწყო მუშაობა, იყო პროფკავშირის თავმჯდომარე და სანიმუშო მუშაკი, ამიტომაც აირჩიეს ბაღის ხელმძღვანელად. და უკვე, 31 წელიწადია ბაღის დირექტორია და ჩინებულად უძღვება მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამ ხნის მანძილზე, გასახსენებელიც ბევრი აქვს და მოსაყოლიც... იყო ბედნიერი წუთებიც და მძიმე დღეებიც... მაგრამ იგი, მაინც მყარად იდგა, მუხლჩაუხრელად შრომობდა, ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა მოპოვებული ავტორიტეტი შეენარჩუნებინა და ღირსეულად გაეგრძელებინა ბაღის ტრადიციები.



**ლალი ნოზაძე:** ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და ვთვლი, რომ ბაღი ჩემი მეორე ოჯახია. მიყვარს თითოეული აღსაზრდელი და სულ ამას ვამბობ; როცა ისინი კარგად არიან, მეც ბედნიერი ვარ. ბავშვებისგანაც დიდ სითბოს ვგრძნობ და ეს მასულდგმულებს... ჩემი მუშაობის მანძილზე არაერთ სიძნელეს წავაწყდი, იყო გაჭირვების პერიოდი, მწირი დაფინანსება, რაც საკვებზეც არ გვყოფნიდა... ბაღი თბებოდა შეშის ღუმელით. ჩვენ გამოსავალს მაინც ვპოულობდით, ვაგროვებდით თანხას (შემოწირულობის სახით) და ერთიანი ძალისხმევით, მაინც ვახერხებდით პატარების კარგად გამოკვებას. დღეს კი, სულ სხვა ვითარებაა... გვერდში გვიდგას საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი **თემურ თორდინავა**, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით. ბაღში ყველაფერი მოწესრიგებულია. ბაღი გადატვირთულია. ბავშვთა რაოდენობის მატება ალბათ, იმან გამოიწვია, რომ ქვეყანაში მოიმატა შობადობამ და ასევე, იმითაც არის განპირობებული, რომ ბაღი უფასოა და კვებაც ძალიან კარგია, განსაკუთრებით, წელს, მენიუ მრავალფეროვანია, დაცულია კალორიულობა, ცილების და ცხიმების რაოდენობა. ბავშვი იღებს 1500 კალორიას. კვება ოთხჯერადია, არის რამდენიმე სახის საკვები: წვნიანი, სალათები, ხორციანი კერძები, გარნირი, დესერტი – იოგურტი, ხილი – ბანანი, ვაშლი, კომში და ა.შ. ვიღებთ მაღალი ხარისხის პროდუქტებს. დიდი ყურადღება გვაქვს **თემურ თორდინავასგან**, სწორედ მისი დახმარებით მოვაწესრიგეთ ეზო და დავამონტაჟეთ 25 სხვადასხვა სახის სათამაშო, რაც პატარებს ძალიან ახარებს და მშობლებიც მადლობას გვიხდიან.

ბაღი აღჭურვილია ყველანაირი ინვენტარით, სათამაშოებით, სხვადასხვა ლიტერატურით. ბავშვებს აქვთ კარგი საძინებელი და თეთრეული. 4 ჯგუფი იძინებს. ბაღი ჩართულია **სასკოლო მზაობის პროგრამაში** და ყველანაირ პირობას ვუქმნი მათ სათანადო აღზრდა-განათლება მიიღონ. ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ მოვლენებს, განვაახლოთ სასწავლო პროცესი და ახალ-ახალი წიგნები შევიძინოთ. ბაღი დაკომპლექტებულია პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური კადრებით. რომლებსაც ერთმანეთთან მეგობრული და თბილი დამოკიდებულება აქვთ. და რაც მთავარია, კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. გვყავს კარგი ფსიქოლოგი და ლოგოპედი, რომლებიც ამჟამად, სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობენ.

დირექტორის მოადგილე – **გულნაზ შიუკაშვილი** ახალი კადრია, მაგრამ თავისი საქმის მცოდნე და სკოლამდელი აღზრდის სფეროში ღრმად ჩახედული. არის მეგობრული და კომუნიკაბელური. ასევე, არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი მეთოდისტის **ნანა ღონიაშვილის** ღვაწლი. იგი 22 წელია ბაღში მუშაობს და კარგი სპეციალისტია. აქ სრულიად ახალგაზრდა მოვიდა და დედამისმა (რომელიც ადრე გარდაიცვალა), საკუთარი შვილივით ჩამაბარა და ყოველთვის ვმფარველობ მას... განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი ექთნის – **ზოია ჭანკვეტაძის** გულისხმიერება და სათუთი დამოკიდებულება პატარების მიმართ. ძალიან ენერგიულია და მუდამ ზრუნავს აღსაზრდელების





ჯანმრთელობაზე, საბუთებიც მოწესრიგებული აქვს და ძალიან კომპეტენტურია. სამწუხაროდ, საბავშვო დაწესებულებებში ინფექციის გავრცელების შემთხვევებიც არის და ახლახან, მოხდა ცუდი ფაქტი, ჩუტყვავილას დიაგნოზით გარდაიცვალა ჩვენი აღსაზრდელი **თინათინ მესხიძე** (სამი წლის და შვიდი თვის), რომელიც თავის უფროსი დისგან დაინფიცირდა (იგი სკოლის მოსწავლეა). ჩვენ, ჯერ კიდევ, შოკში ვართ და მწუხარებას გამოვთქვამთ ამ ფაქტის გამო. ბაღში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები და სწავლაც განახლდა.

საქებარი სიტყვა უნდა ვთქვათ საქმეთა მწარმოებლის – **მაკა ჩხაიძის** და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის — **ნინო ჭანკვეტაძის** მისამართით, ისინი დიდი შემართებით აკეთებენ თავიანთ საქმეს.

პატარებზე მზრუნველობით გამოირჩევიან ბაღის აღმზრდელები, ისინი სულ ცხრამეტნი არიან და ყველა ერთმანეთზე უკეთესია. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პატარები სკოლაში მომზადებულები გაუშვან. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს მზარეულებს, რომლებიც ძალინ გემრიელ კერძებს ამზადებენ და დაუღალავად შრომობენ. ჩვენი ექთნის ინიციატივით, ყოველ სექტემბერში და მაისში ვწონით ბავშვებს და აღმოჩნდა, რომ ისინი აქ წონაში საგრძნობლად იმატებენ, რაც ნოყიერი საკვების შედეგია.

ალსანიშნავია, მუსიკის მასწავლებლების: **მაია მირიანაშვილის** და **მაია ბასოშვილის** საქმიანობა, რომლებიც ყველანაირი ღონისძიების სულისჩამდგმელები არიან. ბაღში, ტრადიციულად იმართება ზეიმები. ახალი წესების თანახმად, ზეიმებზე მშობლები აღარ ესწრებიან. მართალია, ისინი ამ სიახლეს აპროტესტებენ, მაგრამ მათ გარეშე, ღონისძიებაზე პატარები, უფრო თავისუფლები და გახსნილები არიან.. ამჟამად კი, საახალწლო ზეიმისთვის ვემზადებით. უკვე სამი წელიწადია, სააგენტოს მიერ გადმორიცხული თანხით, ვიწვევთ ფიფქიას და თოვლის ბაბუას, რომლებიც პატარებს გემრიელ ნუგბარსაც ურიგებენ და მათ მშვენივრად ართობენ. ახლახან, ჩვენ მივიღეთ შეტყობინება სააგენტოდან, რომ 29 დეკემბრამდე, მოგვიტანენ საჩუქრებს პატარებისთვის საახალწლოდ.



სააგენტოს გვერდში დგომა მნიშვნელოვანია და კიდევ ერთხელ, მადლობა მათ ამისათვის.

მინდა გულისტკივილით აღვნიშნო ერთი ფაქტი, რომელიც ჩემი შვილის **რამაზ ნოზაძის** გულისთვის მოხდა – ნაციონალების დროს... კონკრეტულად, რამაზის შელაპარაკება მოუვიდა გიგი უგულავასთან და ამის გამო, ამ უკანასკნელმა განიზრახა ჩემი სამსახურიდან გაშვება. შემოწმება გამოგზავნეს და ვერაფერი ხელჩასაჭიდი დარღვევა ვერ იპოვეს, მაგრამ მაინც გამათავისუფლეს... ეს ფაქტი გააპროტესტა მთელმა კოლექტივმა... შემდეგ, სასამართლოში სარჩელი შევიტანე, ამ პერიოდში ხელისუფლებაც შეიცვალა და მოსამართლე **თამაზ ურთმელიძის** განჩინებით, სამართალმა იზეიმა და ისევ დავბრუნდი ჩემს სამსახურში.

ბავშვები ძალიან მიყვარს და ვთვლი, რომ ისინი ჩემთვის შვილებივით არიან. მათ



გაგრძელება მე-3 გვ.

# ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“

**სალამი, 212-ე ბაგა-ბაღელებო!**

# ამაზე უკეთესს აბა, რას ინატრებდით?



**სექტემბერში არდადეგებიდან** დაბრუნებული ცეროდენები გაოცდნენ: ასე ვინ შეუცვალა ჩვენს ბაგა-ბაღს იერ-სახეო, ვინ გახადა იგი უფრო მომხიბლავი და ზღაპრულიო. აი, სუფთა, გაკრიალებული ეზო მწვანე სამოსით შებურვილი, მწვანე რკინის ღობით შემოკავებული, რომელიც ზამთარშიც გაზაფხულის იმიტაციას ქმნის. აი, ჩრდილქვეშ მათი საყვარელი სათამაშო მოედანი, გაჯერებული კარუსელით, სასრიალოთი, საქანელათი, აიწონა-დაიწონათი. სხვაც ბევრი სარემონტო სამუშაო შესრულებულა. მალე გაიგეს: ეს ყველაფერი ქალაქის მერიის ძვირადღირებული სასექტემბრო საჩუქარი იყო. ამხელა ეზოს კეთილმოწყობა გიხუმრიათ? ამისთვის დიდძალი თანხა გაიღეს. ამ საქმეში ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსის **თემურ თორდინავას** ინიციატივა-აქტიურობა განსაკუთრებულია. ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია, ყველა თანამშრომელი და მშობლებიც გახარებულნი არიან და მადლობას უხდიან მერიას.



ძვირფას ბაგა-ბაღს დირექტორიც ღირსეული ჰყავს, გამოცდილი, შემოქმედი, ენთუზიასტი პედაგოგი **ნინო კალანდაძე**. ნინოს ძალიან, ძალიან უყვარს ცეროდენები, თავადაც ორი შვილისა და შვილიშვილის აღმზრდელია. დირექტორს თბილისის კლასიკური გიმნაზია ანუ პირველი საჯარო სკოლა ოქროს მედალზე აქვს დამთავრებული, ასევე დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი წითელ დიპლომზე. **ნინო კალანდაძე** თავდადებული მოღვაწეობისთვის **ღირსების ორდენის კავალერია**.

წელს ბაგა-ბაღში ბევრი სიახლეა, მაგრამ პრიორიტეტული მიმართულება მაინც ცეროდენების სკოლისთვის მომზადებაა. თამაშით სწავლების პრინციპს მეცადინეობების დროს დიდი ყურადღება ექცევა. აქ „სასკოლო მზაობის პროგრამის” განხორციელებისკენ მთელი ძალისხმევაა მიმართული.

მართლაც, რომ შესაშური ენერგიით იღვწის სასწავლო პროგრამების კოორდინატორი (ადრე მეთოდისტი ერქვა) **თამარ გეფერიძე**. იგი აღმზრდელებთან ერთად ატარებს ტრენინგებს და მოკლედ რომ ვთქვათ, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მეთოდურად წარმართვის ოსტატია.

მზაობის პროგრამით მეცადინეობა უფრო ხალისიანია. თამაშის ელემენტებით სწავლება უფრო ავითარებს ნორჩების შემეცნებით უნარ-ჩვევებს, – განმარტა **ნინო კალანდაძემ**, – დღის წესრიგში ისევ დადგა ფსიქოლოგისა და ლოგოპედის საჭიროება, თუმცა, მე ყოველთვის მყავდა ორი სპეციალისტი. უნარიანად უძლევებიან საქმეს ჩვენი ფსიქოლოგი **ქეთევან მიქაძე** და ლოგოპედი **ნათია გოგოჭური**, ნამდვილი პროფესიონალები არიან. ეს მაღალი შეფასება დირექტორის მხრიდან.

ჩვენ გავიცანით ის მუშაკები, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ



ბაგა-ბაღის და კერძოდ, პატარების კეთილდღეობაში. ჯანმრთელობის კოორდინატორი **იამზე შენგელია** ბევრს ზრუნავს ბავშვებზე. ასევე თბილი სიტყვებით უნდა ვახსენოთ ცეროდენებისთვის პოპულარული პიროვნებები: მზარეული **მარიეტა არდანიანი** და მისი **თანაშემწე მარიამ ნათობაიძე**. მათგან დამზადებულ გემრიელ, ყუათიან, არომატულ კერძებს დიდი სიამოვნებით მიირთმევენ ცუგრუმელები, ნუ იტყვით და, შინ დედის გაკეთებულ საჭმელებსაც ურჩევნიათ.

და ახლა ბაგა-ბაღის ცხოვრების გამხალისებელი, ცეროდენების სულის გამფაქიზებელი, მათში ხელოვნების სიყვარულის ჩამნერგავი უნდა შევაქოთ. იგი გახლავთ მუსიკის ჩინებული პედაგოგი **თამარ გუგუშვილი**. მისი ღვაწლია, რომ პატარები ასე მღერიან, ზეიმ-კარნავალებს აწყობენ. ასეთი ზეიმი სულ მალე საახალწლოდ მოეწყობა.

გასულ სასწავლო წელს, სასკოლოდ კარგად მომზადებულ 80-მდე ბაღდამთავრებულს დაულოცეს გზა I კლასისკენ, მომავალ წელს კი ორ ჯგუფს გააცილებენ.

და მაინც ყველა წარმატების თავი და თავი არიან შრომისმოყვარე აღმზრდელები და მათი თანაშემწეები, მათ მხრებზე გადადის ნორჩების დაკვალიანების მთელი სიმძიმე. ამიტომ დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების: **ლალი ფიროშვილის**, **ლიანა დვალიძის**, **თეა გელაშვილის**, **ნანა აფციაურის**, **მარინე** მელქაძის, **მზია სეხნიაშვილის**, თანაშემწეების: **ნინო დოლიძის**, **ნაზიკო ხალათაშვილის**, **თამარ გიორგაშვილის**, **ხათუნა ჯანანაშვილის**, **ციალა თეთვაძის**, **ნინო ბიძინაშვილის**, **ლია ჩაკვეტაძის** შრომას. მადლობა დამლაგებლებს: **ლუიზა გრძელიძეს**, **დარეჯან გობეჯიშვილს**, **თეონა თეთვაძეს**, **მაია ბარამიას** და განსაკუთრებით **აბელ ჯოჯუას**, რომელიც დირექციის მარჯვენა ხელია.



მთავარი მაინც ის არის, რომ ამ უბნის მშობლები ძალიან კმაყოფილი არიან ამ ბაგა-ბაღით, დირექტორ **ნინო კალანდაძით** და ყველა თანამშრომლით.

კარზე მომდგარ შობა-ახალ წელს გილოცავთ 212-ე ბაგა-ბაღელებო!

**მაია მიშველაძე**



მე-2 გვერდიდან

ტრადიციულად, ყოველდღე მოვიკითხავ ხოლმე და ყველას ვეალერსები. ბევრი მათგანი, უკვე ჩემი აღზრდილის შვილიშვილია. საკუთარი შვილები და შვილიშვილებიც აქ აღვზარდე და ამ ბაღის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. ჩემს თანამშრომლებს ხშირად ვახსენებ მარკესის სიტყვებს: **„ადამიანს უნდა მოეფერო სანამ ცოცხალია და სანამ გვერდში გიდგას, თორემ, როცა მოკვდება, მერე სინანული ძალიან გვიანი იქნება“.** ყველას მოუწოდებ, გვიყვარდეს ერთმანეთი, მოვეფეროთ ერთმანეთს, თუ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა ფეხზე დადგეს, გაძლიერდეს და პირობები შევუქმნათ მომავალ თაობას, უკეთეს გარემოში ეცხოვროთ.

**ლალი ნოზაძე** დიდი ავტორიტეტით სარგებლობს არამარტო თავის თანამშრომლებში, არამედ მთელ სკოლამდელი აღზრდის სისტემაში, მას იცნობენ და აფასებენ. ქალბატონ ლალის ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, სულის სიმხნევეს, ხანგრძლივ მოღვაწეობას და კიდევ არაერთი თაობის აღზრდას. მასთან ერთად ბაგა-ბაღის ყველა ბინადარს ვულოცავთ შობა-ახალ წელს!

**მზია გოგოძე**



**რეგიონი-ქვემო ქართლი, ბოლნისი**

# სამოდელო გაკვეთილი

**„დავითიანის“** სახელობის 140 მოსწავლიანი კერძო სკოლა ბოლნისის ცენტრიდან მოშორებით, ყოფილი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაშია და არცთუ დალხინებული ყოფით. მაგრამ ამ საგანმანათლებლო ობიექტის პედაგოგთა და მოსწავლეთა ერთსულოვნება და შემართება, მიღწევები და წარმატებები, სურვილები და მიზნები, ზოგადად რეალურობა დღევანდელობისა, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში არსებულ ყველაზე წარმატებულ სკოლასაც შეშურდება. ამ სკოლის დამფუძნებლები არიან **ზაზა ეუაშვილი** და **მარინა გორშკოვა**, პედაგოგი, ერთდროულად ხელოვანი და იურისტი, რომელიც თავის მეორე ოჯახად მიიჩნევს სკოლას.




დამფუძნებლებს გვერდში საიმედოდ უდგანან მოადგილეები: **მანანა ბიძინაშვილი** და **დარინა რეხვიაშვილი**, ხარისხის მართვის მენეჯერი **ლეილა მაღრაძე**, დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარე **მაია კობახიძე** და სხვები, მშობლები: **ჯეირან თარჯვლიანი**, **ნათია გაბიძაშვილი**, **შორენა ვიბლიანი** და სხვები.

აქ დროს უმიზნოდ არ კარგავენ.

აქ ყველა სერიოზულ საგანმანათლებლო და სასწავლო-შემეცნებით ღონისძიებაში იღებენ მონაწილეობას მოსწავლეები.

აქ პატარა საკლასო ოთახებში და შენობის სარდაფში განთავსებულ დარბაზში დიდებიც და მოზარდებიც შემოქმედებითად აზროვნებენ და ხალისობენ.

ამ პატარა სკოლაში ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის მიღწევების მთელი სპექტრია და რა სამწუხაროა, რომ ასეთ ობიექტთა უმეტესობა გეოგრაფიული პერიფერიულობის გამო ზოგჯერ ჟურნალისტთა ყურადღებას კარგავს.

დასანანია, რომ ასეთი სკოლების და ამ შემთხვევაში **„დავითიანის“** სკოლის შესახებ არ მზადდება სიუჟეტები თუნდაც ქვემო ქართლის ტელევიზიაში, სულაც-ჩვენს წამყვან მედია საშუალებებში.

სკოლა ამაყობს, რომ არაერთი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტი განახორციელეს არსებობის 10 წლის მანძილზე, რომ ძალიან ხშირად ტარდება საქველმოქმედო აქციები, რომ საქართველოში პირველად სწორედ ამ სკოლამ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო-საგანმანათლებლო კონფერენციაში, რომელიც პოლონეთის ქალაქ პოზნანში გაიმართა და ამ ღონისძიებაში „დავითიანის“ სკოლის პედაგოგი სამოქალაქო განათლებაში, **მაგდა ფურცელაძე** იყო წარდგენილი საქართველოდან.

ამჯერად, სკოლაში სტუმრობის მიზეზი ასეთია: სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მხარდაჭერით მე-9, მე-10 კლასებში ტარდება **სამოდელო გაკვეთილი სამოქალაქო განათლებაში**, რომელსაც ამ საგნის სწავლების კოორდინატორი ქვემო ქართლში, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის გამგეობის წევრი, რუსთავის მე-15 საჯარო სკოლის სერთიფიცირებული პედაგოგი **ლია ღუღუნიშვილი** უძღვება. იგი თავის კოლეგებთან, რეგიონის სხვადასხვა სკოლის პედაგოგებთან საუკეთესო ურთიერთობებით პროგრამის ფარგლებში უამრავ ღონისძიებას გეგმავს და აწყობს პედაგოგთა პროფესიული დონის ასამაღლებლად, ზოგადად, ამ საგნის სწავლების გასაუმჯობესებლად, სიახლეთა დასანერგად.

არადა, გვსურს თუ არა გვსურს, უნდა ვთქვათ, რომ უკანასკნელ წლებში **„სამოქალაქო განათლების“** საგნის მიმართ გაზრდილ დაინტერესებას სწორედაც ის განაპირობებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში მაღალი სამოქალაქო ცნობიერებით და სამოქალაქო აქტივობის მოქალაქეთა სიმრავლით გამოირჩეს და, ბოლოსდაბოლოს, მართლა მივაღწიოთ იმას, რომ არა ლოზუნგებით, აფიშებითა და რეკლამებით ვიწონებდეთ თავს შინ თუ გარეთ, არამედ, ჭეშმარიტად მაღალმოქალაქეობრივი შეგნებით, სახელმწიფოებრივი აზროვნებით და პიროვნული შესაძლებლობების ძიებით, რათა ღრმად ვაცნობიერებდეთ ადამიანის უფლებებს და მოვალეობებს საზოგადოებაში ქვეყნის პროგრესისათვის.

გაკვეთილი ახალგაზრდა პედაგოგმა **მაგდა ფურცელაძემ** ჩაატარა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ-ბრწყინვალედ.

გაკვეთილის თემა – **„დისკრიმინაცია და თანასწორობა“** – ადამიანის უფლებებში და მოვალეობებში გააზრებული, მასწავლებლის პარტნიორებმა – მოსწავლეებმა – **ნინო მარგიანმა**, **ნიკიტა სოტნიკოვამ**, **შმაგი ისაკაძემ**, **ლაშა გაბიძაშვილმა**, **არჩილ გაბლიანმა**, **ანი ჩაგელიშვილმა**, **ვეფხო გვარმიანმა**, **კოტე ბრეგვაძემ**, **ბესო მუშკუდიანმა**, **დავით ბელთაძემ**, **ეკა უგრელიძემ** და **ლადო დერგუნსკიმ** უამრავი საინტერესო ქვეთემით გაშალეს სრულიად ბუნებრივად და იმპროვიზებულად.

მიზნის მისაღწევად გამოყენებული იყო ცარცი, დაფა, მონიტორი, პრეზენტაციები, სლაიდები, ფილმები და სხვა. ეს ყველაფერი 45 წუთის განმავლობაში დროულად და მიზნობრივად გამოიყენებოდა იმის გასარკვევად, თუ რას ნიშნავს სტერეოტიპი და გენდერული თანასწორობა, რა არის დისკრიმინაცია და მშვიდობიანი თანაარსებობა, რა არის ტოლერანტობა და შეუწყნარებლობა, როგორია დღეს ჩვენი რეალური ცხოვრება და როგორს ვისურვებდით, რა არის ქალისა და მამაკაცის ბალანსური ურთიერთობები ოჯახში, რა არის ჭეშმარიტი დემოკრატია და რომელი ქვეყნებია ასეთი მსოფლიოში, და ბევრი სხვა რამ გაშუქდა ერთი დასკვნის გასაკეთებლად – **„ყველა თანაბარია და ყველა განსხვავებული“**, უარი – დისკრიმინაციას, უარი – დასჯას, წამებას, ცემას, ჩაგვრას, შეურაცხყოფას, შეუწყნარებლობას.

– ასეთი დასკვნა გააკეთეს მასწალებელთან ერთად ბავშვებმა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი მუხლის მოხმობა გაკვეთილზე რამდენჯერმე მოხდა სხვადასხვა კონტექსტში, მოსწავლეები და მასწავლებელი ინტერაქტიული მეთოდით თანაბარზომიერად პარტნიორობდნენ და შედეგიც მიღწეულ იქნა მოსწავლეთა მაღალი შეფასებების დადასტურებით.



გაკვეთილის ანალიზისას **ლია ღუღუნიშვილმა** აღნიშნა: ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამების მიზანია სახელმძღვანელოების ცოდნა, მოსწავლეთა საჭიროებებს მორგებული გაკვეთილების ჩატარება, ურთიერთშეფასება და ურთიერთობების მაღალი კულტურის გამოვლენა, დამოუკიდებელი აზროვნება და ძიება, რასაც შესანიშნავად გაართვეს თავი მოსწავლეებმა. მასწავლებელიც და მოსწავლეებიც ჩვენგან მხოლოდ მაღალ შეფასებას იმსახურებენ.

რუსთავის კერძო სკოლა **„ნაკადულის“** პედაგოგმა **ვაჟა კანდელაკმა** აღნიშნა, ჩვენ ყველამ ამ გაკვეთილიდან ბევრი რამ შეიძლება გავიზიაროთ და დავნერგოთ პრაქტიკაში, ასეთი ურთიერთდასწრებები პედაგოგისთვისაც საჭიროა და მოსწავლეებისთვისაც. ღონისძიების ყველა მონაწილემ: **ლიანა ბურჭულაძემ**, **ნანა არაქელიანმა**, **სედა ალიხანიანმა**, **ვაჟა კანდელაკმა**, **თემურ წიკლაურმა**, **ქეთევან მანთაშაშვილმა**, **თამთა ბერიაშვილმა**, **იზა ნინიაშვილმა**, **ქეთევან ბოლქვაძემ**, **მაია ცერცვაძემ**, **თამარ ასლანიშვილმა**, **ლამზირა ოსეფაშვილმა**, **ზეინაბ ბერაძემ**, **მარინე კუნელაურმა**, **ლიანა მარტაშვილმა**, **მარინე მჭედლიშვილმა**, **ნანა პწკილიშვილმა**, რეგიონის სხვადასხვა სკოლების პედაგოგებმა, მადლობა გადაუხადეს ფორუმის გამგეობის წევრს **ლია ღუღუნიშვილს** იმ აქტივობისათვის, რომელსაც ის, როგორც ქვემო ქართლის კოორდინატორი სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებისა, წლების განმავლობაში ეწევა.




ყველა მათგანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასწავლებლის ჩატარებული სამოდელო გაკვეთილი ტრენინგებზე მიღებული სიახლეების გამოყენებით, ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა და გათვლილი იყო მოსწავლეთა ცოდნასა და აქტიურობაზე.

...სკოლის შენობის სარდაფში, სადაც გაკვეთილი ჩატარდა, შეშის ღუმელი საამოდ ღუღუნებდა, გარეთ ციოდა და თოვდა, აქ კი, გაკვეთილის შემდეგ მე-9, მე-10 კლასელები დირექტორთან **მარინა გორშკოვასთან** ერთად სტუმრებს სიურპრიზს გვიმზადებდნენ. საგაკვეთილო თემა – **დისკრიმინაციასა და თანასწორობაზე** თეატრალიზებულ წარმოდგენაში, **„როცა დავამსხვრევთ სიჩუმეს“** – გაგრძელდა, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს „დავითიანის“ სკოლის მოსწავლეებმა, რომ რა პატარაც არ უნდა იყოს სკოლა, სოფელი, თემი, რაგვარადაც არ უნდა იყოს იგი დაშორებული დედაქალაქს, რა გაჭირვებაშიც არ უნდა ცხოვრობდნენ ადამიანები დღეს, თურმე, თუ გული გულობს, თუ მასწავლებელი ენთუზიაზმით არის სავსე, ყველაფერი შეიძლება. სპექტაკლის სცენარი თვით დირექტორმა დაწერა (თანაც არაერთი სპექტაკლის სცენარი აქვს დაწერილი და დადგმული სასკოლო სცენაზე) მუსიკის და სიმღერების ავტორები მოსწავლეები იყვნენ, მათი როლური განსახიერებები კი იმდენად სცენური იყო, რომ აპლოდისმენტები არაერთხელ გაისმა.

მოკლე საგაზეთო პუბლიკაციაში შეუძლებელია ყველაფრის თხრობა. სამოქალაქო განათლების პედაგოგის **მაგდა ფურცელაძის** შესახებ კი უნდა აღვნიშნოთ: ეს ახალგაზრდა პედაგოგი ერთდროულად თბილისში დემირელის სახელობის სკოლაშიც რომ მუშაობს, კვირაში ორჯერ თბილისიდან ბოლნისამდე ხალისით დადის ნებისმიერ ამინდში გაკვეთილების ჩასატარებლად. მას აქ თავისი საყვარელი მოსწავლეები და კოლეგები ელოდებიან თბილ, სხვადასხვა ეროვნების მასწავლებლებით და მოსწავლეებით სავსე სკოლაში, სადაც ძალიან საყვარლად გიზგიზებს შეშის ღუმელი, გარეთ კი, სკოლის ეზოს მიღმა, სამეზობლოში ასევე საყვარლად ხმიანობენ ცხოველები და ფრინველები, სადაც ადამიანები დილიდან საღამომდე ირჯებიან მინდვრებში, ბაღ-ვენახებში, ფერმებში, სადაც ყველაფერს სოფლის საოცარი სურნელი ახლავს და რაც მთავარია: სადაც ადამიანები-დიდებიც და პატარებიც თანასწორობით, კონფლიქტებისა და დაძაბულობის გარეშე ცხოვრობენ თავიანთი ეროვნული განსხვავებულობისა და ინდივიდუალობის მიუხედავად... ჰოდა, ჩვენი მაგდა მასწავლებელიც, თბილისში დაბადებული და გაზრდილი, თავისი რომანტიული ბუნებით, აქაურობას ვერ ელევა და წლების განმავლობაში ასწავლის „დავითიანის“ სკოლაში სამოქალქო განათლებას. მასზე და მის პედაგოგიურ ბიოგრაფიაზე ცალკე საგაზეთო პუბლიკაციას გპირდებით.

მთავარი სათქმელი ბოლოსთვის მოვიტოვეთ: სხვადასხვა ეროვნების მასწავლებლები და ბავშვები, (სკოლაში ეროვნებით ფრანგი მასწავლებელი **ორტა დიშალე პლუტო**, აფხაზეთიდან ლტოლვილი მასწავლებელიც მუშაობს), მთელი კოლექტივი-მაღალი შინაგანი კულტურით, თავმდაბლობით, სითბოთი და სიყვარულით, ერთმანეთის მიმართ გულწრფელი დამოკიდებულებით გამორჩეულნი არიან და იმ სამოქალაქო საზოგადოების სახეს წარმოადგენენ, ვისითაც თამამად შეუძლია იამაყოს ბოლნისმა. ყველა მათგანმა კარგად იცის, რა უნდა აკეთოს მომავალში.

**ლია მარტაშვილი,**
*კორესპონდენტი*
*ქვემო ქართლიდან*

## თბილისის 114-ე საჯარო სკოლა

# მოსწავლეთა მაღალი აქტივობების ფონზე





**ქალაქ** თბილისის 114-ე საჯარო სკოლა განთავსებულია დედაქალაქის უძველესი, ყოფილი სამრეწველო ინდუსტრიის – ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთ



საგზაო მაგისტრალზე – დავით გურამიშვილის გამზირზე. სკოლა თავისი არსებობის ათეულ წელზე მეტს ითვლის. 1960 წლიდან იგი იწოდებოდა რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლად, ხოლო 1962 წლიდან ფუნქციონირებს, როგორც თბილისის 114-ე საჯარო სკოლა. ადრე სკოლა ქართული და რუსული სექტორებით მუშაობდა, სამცვლიანი დატვირთვით. აქვე იყო საღამოს სკოლაც. 1966 წლიდან რუსული სექტორი 133-ე სკოლაში გადავიდა.

სკოლაში მოღვაწეობდნენ დამსახურებული მასწავლებლები: **რუსუდან ბახტაძე**, **ვერა რაზმაძე**, **ლენა ტატულოვა**, **ნაირა და ანგელინა ქარსიძეები**, **ნორა კაკაბაძე** და სხვები. სკოლა ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური მოსწრებით. მისი კურსდამთავრებულები არიან საკმაოდ ცნობილი ადამიანები: ლასკალის ცნობილი სოლისტი **იანო ალიბეგაშვილი**, ყოფილი ფეხბურთელები, ძმები **გოჩა** და **მანუჩარ მაჩაიძეები**, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე და შემდგომ მინისტრი **თამარ ბერუჩაშვილი**, ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი **შოთა გოგიჩაიშვილი**, ცნობილი კარდიოლოგი, პროფესორი **ლევან ყურაშვილი** და სხვები.

თითქმის 20 წლის განმავლობაში სკოლას ხელმძღვანელობდა ბატონი **ილია შენგელია**, პიროვნება რომელიც გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი ავტორიტეტით.

სკოლას ამჟამინდელი დირექტორი, რომელსაც ამ თანამდებობაზე მუშაობის საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს, შემოქმედებითი ძალისხმევით ხელმძღვანელობს ქალბატონი **გიული (გულიკო) გაბიტაშვილი**. მას მხარში უდგას მოადგილე, ასევე მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება **ლალი ჯინჭარაძე**.



აქვე უნდა ითქვას, რომ სკოლას აღარ ჰყავს მოსწავლეთა ადრინდელი რაოდენობა, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია შენობის მკვეთრი დაზიანებით. ამ გარემოებამ განაპირობა ერთი ბლოკის მთლიანად გადაკეტვა. განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს დაპირებით სკოლის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება 2016 წლისთვისაა გათვალისწინებული. ამ სამუშაოების სისრულეში მოყვანა აუცილებელია.

გაზეთ „სახალხო განათლება+" ამახვილებს ყურადღებას თბილისის 114-ე საჯარო სკოლაში შექმნილ მდგომარეობაზე და თხოვნით მიმართავს ინფრასტრუქტურის პასუხისმგებელ სტრუქტურას, გამოიჩინონ მეტი ძალისხმევა აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად.

სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი თავის მხრივ ერთსულოვნად ზრუნავენ სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. სკოლა ჩართულია G-PVIED-ის პროექტში. პროექტის ფარგლებში მასწავლებლები ტრენინგებზე ეუფლებიან ეფექტურ და ინოვაციურ სტრატეგიებს, რასაც მოსდევს G-PVIED-ის მხრიდან უწყვეტი დახმარება სკოლის ბაზაზე არსებულ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების მეშვეობით.

ამგვარად მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ შეუფერხებლად დანერგონ შედარებით შედეგის მომტანი სასწავლო მიდგომები და რესურსები სასწავლო პროცესში. მოსწავლეები ასეთი მიდგომებით აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა კონკურსებსა და პროგრამებში ცოდნის ამაღლებისა და სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან X-XI კლასების მოსწავლეები, რომელნიც ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტებში: **„დიპლომატის სკოლა საქართველოს სახელმწიფო მოდელირებაში"**, **„გაეროს მოდელირება"**. ამ მხრივ გამოირჩევიან: **ნიკა ვაშაკიძე, ნინო ორმოცაძე, ილია კეშელავა, ჯაბა ქარელი, ბაჩუკი შამათავა**, **მარიამ ოსაძე**, **ლევან ხვედელიძე**, **მეგი პირველი**, **მარიამ ნასყიდაშვილი**,



II სემესტრიდან მოსწავლეების სურვილით იგეგმება დებატების კლასების ჩამოყალიბება. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი. მაღალი ჩართულობა იყო მომავალი თაობის მიერ ორგანიზებულ პროექტში – **„როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე"**, რაც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა მონაწილეობას „კათარზისში" დამხმარე მოხალისეებად. ესენი არიან IX კლასელები: **ელენე ნიკაჭაძე**, **ქეთი დოლიძე**, **ანა ჩაჩუა**, **ნინო ბენაშვილი**, **ნინო ძაძამია**, **ია ძნელაძე**.

სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, რომლის პროექტებსაც მოსწავლეები წარმატებით ახორციელებენ. გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პროექტში – **„გადავარჩინოთ ტყე"** (ნახატების კონკურსი) გაიმარჯვა VI კლასელმა **გიორგი ტალახაძემ** (სკოლაში მას „მომავალ დიდ მხატვარს" ეძახიან).

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა პერიოდულად ატარებს პარლამენტის სხდომებს, სადაც განიხილება იმიტირებული, აქტუალური საკითხები.

სკოლის დირექცია, როგორც მათ განაცხადეს, სკოლის X კლასის მოსწავლეებს მომავალ პოლიტიკოსებად მოიაზრებენ.

სკოლის ხელმძღვანელობა ასევე ზრუნავს სერთიფიცირებულ მასწავლებლებზე, რომელნიც ფიქრობენ კარიერულ წინსვლაზე, ასევე ყველა პირობას ქმნის პედაგოგთა პროფესიული განვითარებისთვის.

ხორციელდება რიგი ღონისძიებები მშობელთა ჩართულობის გაძლიერებაზე. დირექცია არაერთ საკითხს აგვარებს მშობლების აქტიური მონაწილეობით.

ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება გერმანული ენის გაძლიერებული სწავლების შემოღება, რაც ადრე ნაყოფიერად ხორციელდებოდა.

სკოლის დირექციის და კოლექტივის დიდი სურვილია კვლავ აღდგეს პარტნიორული ურთიერთობა გერმანიის ქალაქ მიუნჰენის გიმნაზიასთან და HOSSPR სააგენტოსთან. ამით მიზნათ ისახავენ ხელი შეუწყონ ერთობლივი პროგრამების ამოქმედებას.

„სახალხო განათლება+"-ის რედაქცია მიესალმება სკოლის დირექციისა და მისი კოლექტივის, ასევე მოსწავლეების აქტივობებს სწავლა-აღზრდის საქმეში მაღალი წარმატებების მიღწევის გზაზე.

**რომან მოსეშვილი**

## ჟანი მეძმარიაშვილის ხელოვნება

# გამოფენის ხიბლი



**ამა წლის** 16 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და **შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის** ეგიდით ქართველი მხატვრის **ჟანი მეძმარიაშვილის** პერსონალური გამოფენა გაიხსნა, რომელიც ერთი თვის განმავლობაში ხელოვნების მუზეუმში იქნება წარმოდგენილი. საზეიმო გახსნაზე უამრავი სტუმარი მოვიდა. მათ შორის იყვნენ გამოჩენილი ქართველი მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები. გამოფენა გახსნა ხელოვნებათმცოდნემ – **ლელა წიწუაშვილმა**. სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს სახალხო მხატვარი – **გივი** 



**თოიძე**, საქართველოს სახალხო მხატვარი – **რადიშ თორდია**, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე – **თამაზ სანიკიძე**, ხელოვნებათმცოდნე – **დალი ლებანიძე**. მათ გულთბილად გაიხსენეს ნიჭიერი შემოქმედი, ხოლო მის მეუღლეს და ქალ-ვაჟს კეთილი სურვილები უძღვნეს.

**ჟანი მეძმარიაშვილი** დაიბადა 1926 წელს, ქუთაისში. თავდაპირველად სამხატვრო განათლება მან იაკობ ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელში მიიღო. მისი მასწავლებელი **ვალენტინ შერპილოვი** იყო. შემდეგ მან სწავლა თბილისის სამხატვრო აკადემიაში განაგრძო. მხატვრის მიერ შექმნილი ფერწერული ტილო **„ხევსური გოგონა"** ვენის ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე ოქროს მედლით იქნა დაჯილდოებული. **ჟანი მეძმარიაშვილის** შემოქმედება რამდენიმე ჟანრს მოიცავს: პორტრეტს, ყოფითი ხასიათის სურათებს, პეიზაჟებს და ნატიურმორტებს.



ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს ბევრი ყურადსაღები ტილო შექმნა. 60-იანი წლების დასაწყისში მხატვარმა **„აფიშების გამკვრელი"** დახატა, რომელიც ამ წლების ქართული ფერწერის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი გახლდათ. **ჟანი მეძმარიაშვილს** შექმნილი აქვს აგრეთვე რამდენიმე ესკიზი გობელენებისთვის, რომლებშიც ქართული ცეკვის მოტივებია გამოყენებული. **ჟანი მეძმარიაშვილი** 1989 წელს გარდაიცვალა. მხატვრის უამრავ ტილოსაგან აღსანიშნავია **„სამი ძმა – გურულები"**, **„მეუღლის პორტრეტი"**, **„ქალი სარკესთან"**, **„ქალიშვილის პორტრეტი"**, **„მეეზოვე"**, **„რუსთაველის პროსპექტი"**, **„სახლი მთაში"**.

**თამარ ლამპარაძე**

**თბილისის მე-60 საჯარო სკოლაში**

# როცა ხელმძღვანელი მაღალი პროფესიონალია

**საგანმანათლებლო** სივრცეში მეტად ცნობადი სახეა გამობრძმედილი პედაგოგი, თბილისის ერთ-ერთი მოწინავე, მე-60 საჯარო სკოლის დირექტორი **შოთა მალაზონია**. მართალია, აქ ახალმოსულია, მაგრამ სკოლას, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, ინფრასტრუქტურას



უკვე დაატყო საკუთარი ხელწერა. გვინდა, იგი უფრო ახლოს გავაცნოთ საზოგადოებას: ისტორიის ჩინებული მასწავლებელია 33 წლის პედაგოგიური სტაჟით. ასწავლიდა თბილისის 124-ე, 61-ე, 62-ე, მე-10 სკოლებში, თბილისის მაშინდელ სულხან-საბას პედაგოგიურ უნივერსიტეტში, იყო 62-ე და 147-ე სკოლების დირექტორი.

ახლა მის თანამებრძოლებსაც წარმოგიდგენთ, თავდადებით მოღვაწეობენ დირექტორის მოადგილეები: მათემატიკის მასწავლებელი **ნანა ლომთათიძე**, რომელიც ფეხმოუცვლელად სულ ამ სკოლაში მუშაობს და მეტად გამოცდილი **ნანა ჩოხელი**. იგი დაწყებითი კლასების ბრწყინვალე პედაგოგია, ასწავლიდა 62-ე და 51-ე სკოლებში. იყო მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი, შემდეგ დირექტორის მოადგილე 62-ე და 147-ე საჯარო სკოლებში. ამდენს იმიტომ ვმსჯელობთ მასწავლებლებზე, რომ გვინდა უფრო წარმოვაჩინოთ ჯერ კიდევ დაუფასებელი, ღვაწლმოსილი პედაგოგები და მათი შრომა.

დღეს მე-60 საჯარო სკოლა ამ ძლიერი პედაგოგებით ამაყობს.

გთავაზობთ დირექტორთან საუბრის მოკლე შინაარსს.

* * *

**ახალი** სასწავლო წლის მთავარი სიახლეა სკოლის ჩართვა საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში (G-PRIED). მიზანი: I-VI კლასების მოსწავლეთა საბაზისო და გამჭოლი უნარ-ჩვევების განვითარება კითხვასა და მათემატიკაში. პროექტში აქტიურად არის ჩართული დაწყებითი კლასების 27 მასწავლებელი. როგორც პროექტის სამიზნე სკოლა, მალე მივიღებთ მნიშვნელოვან სასწავლო რესურსებს: საბავშვო წიგნებს, სასწავლო პოსტერებს, თვალსაჩინოებებს, აქტივობის ბარათებს, მათემატიკის მანიპულატივებს, აუდიო-ვიდეო აღჭურვილობას.

დიდ ყურადღებას ვუთმობთ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 15 საკლასო ოთახს. სკოლამ საკუთარი სახსრებით გაარემონტა საკლასო 4 ოთახი. პირველი სართულის დერეფანი და სველი წერტილი.

სკოლაში მაღალია მოსწავლეთა უსაფრთხოების ხარისხი. თბილისის იმ 11 სკოლებს შორის ვართ, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ საქართველოს სხვა სკოლებისათვის რეკომენდაციები უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნისთვის.

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი საგნობრივი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის – თავმჯდომარე – **ეკატერინე ქურციკიძე**, მათემატიკის – **მანანა ქარდავა**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების – **თამილა ლვედაშვილი**, საზოგადოებერივი მეცნიერებების – **ინგა ხავთასი**, ესთეტიკისა და სპორტის – **ნანა ბერძენიშვილი**, უცხოური ენების – **ინდიანა მათითაშვილი**, დაწყებითი კლასების – **მაია ბაღაშვილი**, კათედრები ენთუზიაზმით მუშაობენ.

სკოლაში მუდმივად ტარდება ღია და ინტეგრირებული გაკვეთილები, ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტები. აქტიურ მონაწილეობასა ვღებულობთ სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში.

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს. 2015-2016 სასწავლო წელს სკოლის I-XII კლასებში სწავლობს 34 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ყველაზე მეტი საქართველოს სხვა საჯარო სკოლებთან შედარებით. მათ ემსახურებათ 3 სპეციალური მასწავლებელი და ერთი ფსიქოლოგი. 2014-2015 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სკოლის დირექციისა და სპეც. პედაგოგების მიერ ჩატარდა მონიტორინგი, რომელმაც შეისწავლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მე-60 სკოლაში მოავლინა ინკლუზიური განათლების გამოცდილების გასაზიარებლად ტაჯიკეთის მრავალრიცხოვანი სამთავრობო დელეგაცია. სტუმრები კმაყოფილები დარჩნენ ნანახით.

მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. ვახორციელებთ პროექტს „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი უნარების წახალისება“. ჩვენგან წარდგენილი სამი პროექტიდან სამივემ გაიმარჯვა.

სკოლაში მუდმივად ტარდება ღია და ინტეგრირებული გაკვეთილები. ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტები. სკოლა აქტიურ მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში.

2015-2016 სასწავლო წელი აღსანიშნავია იმ კუთხითაც, რომ სკოლის მასწავლებლები ჩართულები არიან პროფესიული განვითარების სქემაში და აქტიურად ზრუნავენ დახელოვნების მიზნით. სკოლის ხელმძღვანელობა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას, კვალიფიკაციის ამაღლებას, სკოლაში არჩეულია 5 ფასილიტატორი, რომლებიც სპეციალურ მომზადებას გადიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში და ჩართულები არიან მასწავლებელთა მუშაობაში, ეხმარებიან მათ პროფესიულ დაოსტატებაში.

სკოლის მთავარი მიზანია მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება, ახალგაზრდების დემოკრატიული საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბება. ინფორმირებული, აქტიური პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოსწავლეების აღზრდა.

გასულ სასწავლო წელს სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა **ხატია მარგალიტაძემ**, ხოლო ვერცხლის მედალზე – **ნიკა კანდელაკმა** და **თამუნა ქევანიშვილმა**.

კიდევ ბევრი წარმატების ჩამოთვლა შეიძლება, რომლის შედეგებს სასწავლო წლის დასასრულს შევაჯამებთ.

ესაუბრა **ბორის მიშველაძე**

**P. S. გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და დიდ გამარჯვებებს გისურვებთ მე-60 სკოლელებო!**

# „ბაირონის“ სკოლა პოპულარულია

**თბილისის „ბაირონის“** სკოლა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინგლისური ენის სრულფასოვან დაუფლებასთან



ასოცირდება. სკოლაში შესვლისთანავე თვალში გეცემათ დახვეწილი ბრიტანული ინტერიერი, რომელიც ზუსტად მიესადაგება ლორდ ბაირონის სტილსა და ესთეტიურობას.

თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე თბილისის ბაირონის სკოლამ აღზარდა ინგლისური ენისა და კულტურის საკმაოდ მაღალი აკადემიური ცოდნის მატარებელი ახალგაზდრები, რომლებიც წარმატებით სწავლობენ, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. მათ შორის გამორჩეულია ნიჭიერ მუსიკოსთა სია, საერთაშორისო აღიარების ცნობილი პიანისტები: **თამარ** და **ნათია ბერაიები**, **სოფიო სიმსივედანელია**, **ანა გოგავა**, **დავით ხრიკული**, აგრეთვე ნიუ-იორკის ჯულიარდის მუსიკალური სკოლის წარჩინებული სტუდენტები, მევიოლინე **მარიამ მაჩაიძე** და პიანისტი **სალომე ჟორდანია**.

ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის (ლონდონი) საქართველოს ბაირონის საზოგადოებათან არსებული ეს სასწავლებელი დაფუძნდა 1995 წელს.

დიდი ინგლისელი პოეტის სახელი არის ღრმა ცოდნის, ფართო განათლების, პროგრესული აზროვნებისა და დახვეწილი გემოვნების სიმბოლო. სწავლების პროცესი ითვალისწინებს საერთაშორისო სერთიფიკატის მიღებას, საზაფხულო სკოლას დიდ ბრიტანეთში და წარჩინებულ მოსწავლეთა უფასო სწავლებას. სკოლა გადასახადისაგან ათავისუფლებს აგრეთვე ხელოვნების დარგში ნიჭიერ მოსწავლეებს. დღეს მათ შორის არიან პიანისტი **ივერი კეკენაძე** და მევიოლინე **ანა ჭან**ია.

წარჩინებული სწავლების გარანტია პროფესიონალ პედაგოგთა გუნდი. მათ შორის არიან: **ლიდია უესტი**, **ნუგზარ რუხაძე**, **დოდო ღვალაძე**, **დოდო ფაჩულია**, **ელისო გოდუაძე**, **მარინა გუნია**, **თინათინ ბახსოლიანი**, **თინათინ ნემსაძე**, **მანანა გოგუაძე**, **ეკა სალიაშვილი** და სხვები.



სკოლას ხელმძღვანელობს საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ინესა მერაბიშვილი**.

გასულ წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ბაირონოლოგთა მე-40 საერთაშორისო კონფერენცია. უნივერსიტეტთან ერთად 20 ქვეყნის 100 დელეგატს უმასპინძლა თბილისის ბაირონის სკოლამ.



სტუმრებს შორის იყვნენ ბაირონის პირდაპირი შთამომავალი, ლორდთა პალატის წევრი, გრაფი **ლიტონი** მეუღლითურთ და ბაირონის ტიტულის შთამომავალი, ჩვენი თანამედროვე, **ლორდ ბაირონი ლედი ბაირონთან** ერთად.

**ბაირონის** სტიპენდიის გვერდით დაწესდა გრაფი **ლიტონის** სტიპენდია. გრაფმა **ლიტონმა** წარჩინებული სწავლებისათვის დააფინანსა ბაირონის სკოლის ორი მოსწავლე: **თამარ ტარსაიძე** და **სანდრო გეგეჭკორი**.

**ია მიქაძე,**
**რომან მოსეშვილი**

**ცნობისათვის: „ბაირონის სკოლა მდებარეობს ქ. თბილისში, ა. გრიბოედოვის 2-ში. საკონტაქტო ტელეფონებია 2183478, 2935753; ელ-ფოსტა:**
**byzonschool@hotmail.com**

**პედაგოგის პოეტური პალიტრა**

**ლევან ქათამაძე**

# ხუთი ლექსი

*„ხილი იხილე და მებაღე მერე იკითხეო“. ზუსტად ასეა: ლექსები ვიკითხეთ და პოეტიც ვიხილეთ. გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის წინა ნომერში მკითხველს წარვუდგინეთ გურიის, ჩოხატაურის რაიონის ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის ჩხაკოურის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლის, ანა კალანდაძისა და ნოდარ დუმბაძის თანამემამულის ლევან ქათამაძის სამი ლექსი. მკითხველს იგი მოეწონა.*

*საახალწლოდ გთავაზობთ კიდევ მის ხუთ ლექსს.*



## პეიზაჟი

ზანტად ეცემა რინგერის წვეთი,
ფანჯრიდან მოჩანს ღრუბლის ქულები.
გდია ეზოში ნალიის ჩრდილი
და თოვლს ატყვია ნაფეხურები.

შორიდან ისმის ბასმაჩის ყეფა.
რა უნდა? რა სწყინს ან რა აბრაზებს?
...წვება ხევებში ცრიატი ნისლი
და დნება თოვლი მამის საფლავზე.

## კარუსელი

**ვინც** სამშობლო გარდუვალი
დაღუპვისგან იხსნა,
არჩევნებში მიიღებდა
ყველაზე მეტს ის ხმას.

ტყუილების ტიკიდან
ადესაც რომ გვისხას,
ვინც მამული გაგვიყიდა
ვერ მიიღებს ის ხმას!

ვინც დალესის დოქტრინა
მანტიად მოისხა,
ცხადია, ვერ მიიღებს
ერისაგან ის ხმას!

ვისაც ცოდვა აწევს
თანამოძმეთ სისხლის
ძელზე გასმა ეკუთვნის,
ღირსი არის ის ხმის?!

ვინც ანთხევდა ბოღმას,
დუჟს, სამსალას, რისხვას,
ვერასოდეს მიიღებს
ქართველთაგან ის ხმას!

არ ვაპირებ არავის
მე ხოტბისა შესხმას,
ერის მოამაგეს
მღერით მივცემ ჩემს ხმას.

როგორც კრიალოსნის,
ალმასების ასხმის,
განა მხოლოდ ერთის,
მიმცემი ვარ ას ხმის.

თავზე ყურნი მებას
და თვალები მესხას,
არაფრისდიდებით
ხმას არ მივცემ მე სხვას.

## ფიფქ-ფიქრებიანი თოვლი

როგორ გაგვითოვდა,
ნუთუ თოვლი დადებს?
ნუთუ უშენობა მართალია?
წუხელ მოგინატრე, წუხელ მოგიდარდე,
დილით ავდექი და ზამთარია.

ფანტელებს მოჰქონდა უცხო რამ საარი,
უშენოდ წუთები ვიმარხულე.
მე შენთან წამოვალ ზამთარი რა არი,
მე შენთან მოვალ და გინახულებ.

როგორ გაგვითოვდა, ფიქრები მოვლიან,
ქუჩებს ფიქრიანი მოვვლი.
ახლა კი ჩვენს შორის ბევრი თოვლია,
თოვლი და თოვლი და თოვლი.

## სულის სურათი

სხვათა საუნჯეთა პარვის
ნიჭი მქონდა აროდეს.
აღტაცებას მგვრიდა ქალის
გაღიმება რაოდენს.

დრო დის გაუმაძღარ დენით,
რომ დღე ცრემლით დატბოროს,
აღტაცება ჩაქრა ჩემი
მან ღიმილი დათმო როს.

## დღევანდელობის წესი ასეთია

*„ის ცის უარმყოფელია“*
*გალაკტიონი*

ცის უარმყოფელი
გაირყვნა სოფელი
მზე
მაინც ამოდის, ჩადის.
მინისტრის ცოლთან
მინისტრის შოფერი
ვითომც არაფერი,
დადის.
ცის უარმყოფელი
გაბერწდა სოფელი,
შვილების არ სჯერათ
მამებს.
ერთფეროვნების კი
გაყინა დრომ ფერი
„ამინდი
აბსურდებს ავლენს“.
ცის უარმყოფელი
ბინდდება სოფელი,
არცა რა იმედი
ცის ხსნის.
გაიაფდა სინდისი,
გაირყვნა სწორფერი,
გამეფდა ცრემლი და
სისხლი.
ცის უარმყოფელი
მოკვდება სოფელი,
ღვთის რისხვა
წალეკავს ყოველს.
მიმცხრალი სინაზით
მდელოთა მომფენი
მთვარე კი
წინდაწინ გლოვობს.

ხელოვნება

# ნინო ანანიაშვილი – ქართული კულტურის კორიფეე

**მწერალთა სახლში**, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ინიციატივით, გაიმართა შეხვედრა მსოფლიო



საბალეტო ვარსკვლავ პრიმა-ბალერინა **ნინო ანანიაშვილთან**, რომელსაც ესწრებოდნენ ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები და გამოჩენილი კულტურის მოღვაწეები. ფოიეში მოეწყო პრიმა-ბალერინას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა.

**ნინო ანანიაშვილის** შემოქმედებაზე და მის წარმატებებზე ისაუბრეს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ, პოეტმა **დავით შემოქმედელმა**, კინორეჟისორმა **ელდარ შენგელაიამ**, ფერმწერმა **რეზო ადამიამ** და სხვებმა. **ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის** მოსწავლეებმა კი, მცირე საბალეტო ნომერი შეასრულეს.

ღონისძიებაზე, **ნინო ანანიაშვილმა** ვრცლად ისაუბრა საბალეტო ხელოვნებაზე, ცნობილ მოცეკვავეებზე, გაიხსენა საინტერესო ეპიზოდები და შეეხო ქორეოგრაფიული სასწავლებლის პრობლემებს.. საუბრის პარალელურად, ეკრანზე ნაჩვენები იყო ნაწყვეტები სხვადასხვა სპექტაკლებიდან.

შეხვედრაზე, **დავით შემოქმედელმა** სიურპრიზი მოუწყო ბალეტის ვარსკვლავს და რუსთაველის საზოგადოების სახელით გადასცა პრიზი – საბალეტო ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და ნინო ანანიაშვილს მიანიჭა: **„ქართული კულტურის კორიფეს“** წოდება.

დასასრულ, შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, სადაც ქალბატონმა ნინომ დასმულ შეკითხვებს უპასუხა და ასევე, ისაუბრა ქართული საბალეტო სკოლის განვითარებაზე, სამომავლო გეგმებსა და სპექტაკლებზე.

**მზია გოგოძე**

**სიტყვა, რომელიც გვეჩოთირება**

# „შედეგებზე ორიენტირებული“

**მოდაში** შემოვიდა და, როგორც ხდება, ელვისებურად გავრცელდა ფრაზა: „შედეგებზეა ორიენტირებული“. მაგალითად, „შედეგებზე ორიენტირებული სწავლება“. დაუფიქრებლად ხმარობს ამას პედაგოგი, სკოლის დირექტორი, სამინისტროს მუშაკი, რატომ? იმიტომ, რომ თავად მათ დაამკვიდრეს ასეთი გამოთქმა. სწორია? მოდით, დავუკვირდეთ! აბა, თუ გაგიგონიათ, უშედეგობაზე ორიენტირებული სწავლება“, ოდესმე ყოფილა სწავლა-განათლება ასეთ რამეზე ორიენტირებული? განა მარტო სწავლება? ყველა ქცევა, მოქმედება მოტივირებულია, გათვლილია რაღაც შედეგის, რაღაც მიზნის მისაღწევად. მარტივი მაგალითი: დაამუშავე მიწის ნაკვეთი პამიდვრის ჩითილების დასარგავად. ამაზე შეიძლება ვთქვათ, უშედეგობაზე ვიყავი ორიენტირებულიო? იქიდან მოსავლის აღება არ მინდაო?

მკითხველი იკითხავს, არ ვიხმაროთ ასეთი ფრაზა? როგორ არა, მაგრამ – ასეთნაირად: **„მაღალ შედეგებზე ორიენტირებული**“.

## „საჯარო“ თუ „საშუალო?“

**მამა-პაპიდან** ვიცოდით, რომ განათლების პირველ საფეხურს, მის შინაარსს შეესატყვისებოდა „საშუალო განათლება“. ამდენად, სწავლა-აღზრდის ამ ტაძარს ერქვას „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა“, ე. ი. იგი აძლევდა ახალგაზრდას ზოგად-საბაზისო ცოდნას ყველა საგანში, დღესაც იგი იგივე შინაარს-ფუნქციის მატარებელია, მაგრამ „რეფორმატორებმა“, რომლებიც გაიძახოდნენ: „ახალი ცხოვრების ათვლა 2003 წლიდან იწყებაო“, იფიქრეს, სკოლას თუ ისევ **„საშუალო“** ვუწოდეთ, ამას რეფორმად ვინ ჩაგვითვლისო და **„საჯარო“** შეარქვეს. თუ ეს სხვისი წამხედურობით გააკეთეს, მით უარესი მათთვის. ასე შეცვალეს **„მეთოდისტი“** – „მენტორით“, **„წვრთნა-ვარჯიში“** – **„ტრენინგით“**, **„წარდგენა“** – **„პრეზენტაციით“**, **„მცოდნე**“ - **„ექსპერტით“** და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ტერმინოლოგიური „რეფორმა“ გაატარეს.

ახლა ვნახოთ, რა ხვითოა ეს **„საჯარო“**. ჯარი ადამიანების კრებულია (შეკრებილი ადამიანები. ამ ტერმინს სამხედროს გაგება აქვს – „ჯარისკაცი“) საჯარო სკოლა – ადამიანთა თავშესაყარი სასწავლო დაწესებულება, აბა, ამ დაწესებულებაში განათლების მისაღებად ცხოველები და ფრინველები რომ არ დადიან?

ლოგიკას თუ გავყვებით, უნდა გვქონდეს: **„საჯარო აკადემია“**, **„საჯარო უნივერსიტეტი“**, **„საჯარო ინსტიტუტი“**, **„საჯარო კონსერვატორია“**, **„საჯარო კოლეჯი“**, **„საჯარო ლიცეუმი“...** როგორია ჰა?

თქვენ განსაჯეთ სასწავლო დაწესებულების შინაარს-ფუნქციას რომელი ტერმინი უფრო აკონკრეტებს და მიესადაგება, **„საჯარო“** თუ **„საშუალო?“**

**ენათმეცნიერი**
**მოსე მწერალი**





ავქსენტი მიშველაძე – 100

# ღვაწლი და ამაგი დიდი პედაგოგისა

**ამ საუკუნის** უბედურებაა, რომ ადვილად გვავიწყდება მამულისთვის დამაშვრალთა სახელები, მათი ნაღვაწ-ნაამაგარი. ნიველირებისა და გულგრილობის მსახვრალი ხელი დაგვერია. დაუნახაობისა და უმადურობის წუმპეში ვიძირებით.

**დღეს, იაკობ გოგებაშვილის დონის პედაგოგიც რომ იყო, კაციშვილი არაა შენი დამფასებელი.** ისე ჩაივლის ღვაწლმოსილი პიროვნების საიუბილეო თარიღი (თუნდაც ასი წლისა), ვერც გაიგებ, ჩაიარა თუ არა. რამ გამოიწვია ყოველივე ეს? ამაზე ცალკე მსჯელობაა საჭირო.

ახლახან ერთი ვაი ფილოსოფოსი (თავს ექსპერტს რომ ეძახის, ხან – პოლიტილოგს), რომელიც ხშირად ტელევიზორის ყუთში ზის, ასე გვმოძღვრავდა: იუბილეების გადახდა კომუნისტური გადმონაშთიაო. თურმე, ნუ იტყვით და, მისი „გრძელი“ ჭკუით, ილია და აკაკი, რომელთაც კომუნისტებამდე უხდიდნენ იუბილეებს, თავად ყოფილან კომუნისტები.

ალბათ, ყოველივე ზემოთქმულის ბრალია, რომ ცნობილი მასწავლებლისა და მეცნიერის **ავქსენტი ესტატეს ძე მიშველაძის** დაბადების 100 წლისთავი კინაღამ გამოგვეპარა. პედაგოგიურმა საზოგადოებამ მგონი იგი უნიათოდ აღნიშნა.

თარიღებით მკითხველს არ გადავტვირთავთ. მისი მოგონებების წიგნს **„როგორ ვცხოვრობდი და რას ვემსახურებოდი“** მოვიშველიებ: „დავბადებულვარ 1915 წლის 6 ნოემბერს მარტვილის რაიონის სოფელ თარგამეულში“... ჩვენ კი ასე გავაგრძელებთ: დაამთავრა ამავე სოფლის ოთხწლიანი სკოლა, შემდეგ – ლეძაძამის შვიდწლედი და სენაკის პედსასწავლებელი. მუშაობდა აფხაზეთის, კიწიის, თამაკონის სკოლებში მასწავლებლად. წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედინსტიტუტი. სწავლობდა **ლადო ასათიანთან** ერთად. ისევ პედაგოგიური მოღვაწეობის გზა გააგრძელა ფშაფის საშუალო სკოლაში (აფხაზეთი) მასწავლებელი ქართულისა, შემდეგ – იქვე სკოლის დირექტორია.

მისი პედაგოგიური გზა განსაზღვრეს ისეთმა მეცნიერ-პედაგოგებმა, როგორიც იყვნენ: **ბესარიონ კიზირია**, **ანგია ბოჭორიშვილი**, **გიორგი ჯიბლაძე**... მოღვაწეობდა ქუთაისის პედინსტიტუტში – კითხულობდა ლექციებს პედაგოგიკაში, მსახიობობდა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში. ბატონ ავქსენტის ეკუთვნის ფიგურალური გამოთქმა: **„ლიტერატურის მასწავლებელში პატარა მსახიობი უნდა იჯდეს“**. თავად მისი ლექციები ან გამოსვლები ხომ ორატორული ხელოვნების ნიმუში იყო.

თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ დიდხანს მოღვაწეობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ეროვნულ ინსტიტუტში, საღამოს სკოლების სექტორში და თბილისის დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში პედაგოგიკის კათედრის გამგედ. სწავლება-აღზრდის თემაზე დაცული ჰქონდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. განათლების პრობლემებზე 40-ზე მეტი წიგნის ავტორია.

ნახევარი საუკუნეზე მეტი იყო მასწავლებელთა გაზეთ „სახალხო განათლების“ ერთგული მკითხველი და თანამშრომელი, აქტუალური წერილებით კი – მასწავლებელთა მოძღვარი.

ნახევარი საუკუნის წინათ გამოქვეყნებული მისი სტატია **„ვინ ლაპარაკობს?!“** სწავლა-აღზრდაში ფორმალიზმთან ბრძოლის გზამკვლევია.

**ავქსენტი მიშველაძე** პედაგოგიური დინასტიის სახელოვანი მეთაური გახლავთ. მისი მამა **ესტატე მიშველაძე** იაკობ გოგებაშვილის მოსწავლეთა თაობის ღირსეული წევრი და იმ დროის სახალხო მასწავლებელი იყო.

ბატონი ავქსენტის მეუღლე **თინათინ გველესიანი** ქართულ ენა-ლიტერატურას ჩინებულად ასწავლიდა თბილისის სკოლებში. ქალიშვილი **ნათელა**, მათემატიკის ბრწყინვალე სპეციალისტი, დიდხანს მოღვაწეობდა განათლების სისტემაში.

უფროსი ვაჟიშვილი, დღეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, კლასიკოსი ნოველისტი, პროფესორი **რევაზ მიშველაძე** მეოთხედ საუკუნეზე მეტი დედაუნივერსიტეტში ლექტორად და უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგედ მოღვაწეობდა.

მომდევნო ვაჟიშვილი **ვაჟა მიშველაძე** ხელოვნების დამსახურებული მუშაკი და გამოჩენილი მხატვარია.

უმცროსი **ბორის მიშველაძე** ფიზიკის პროფესორია. იგი დიდხანს მუშაობდა აგრარული უნივერსიტეტის ლექტორად და მარნეულის უნივერსიტეტის რექტორად.

ჰოდა, ამ პლეადისა და კიდევ ათასობით ერისკაცის აღმზრდელს ბატონ **ავქსენტი მიშველაძეს** შეიძლება დიდი პედაგოგი არ ვუწოდოთ?

„სიძველისადმი ნდობა-პატივი, ვის გულში, მაინც ოდნავ ელვარებს“, ვალდებულია პატივი მიაგოს **ავქსენტი მიშველაძის** ხსოვნას.

არ დავივიწყოთ დიდი მამულიშვილი, განვავითაროთ მისი პედაგოგიური მემკვიდრეობა!

**ავქსენტი მიშველაძემ** ცხოვრების 70 წელი მოსწავლეებს და მასწავლებლებს შესწირა. **ეს ყველაფერს ნიშნავს**.

**ბორის ევგენიძე**



## ლადო ასათიანი

### საახალწლო

**სანამ** არ ჩაქრებიან
იმერეთის ოდები,
ყოველ ახალ წელიწადს
მარად მომაგონდები.
შორი გზიდან მოსული,
მამა-პაპის ჯილაგი –
უცხოდ განათებული,
პატარა ჩიჩილაკი.
უცხოდ განათებული,
სხვაზე არ გასაცვლელი:
მწვანე სუროს ფოთოლი,
კურკანტელას მარცვალი.
უზარმაზარ ოდაში
მუხის ცეცხლი გუგუნებს,
ბავშვი გაოცებული
მხოლოდ შენ შემოგყურებ,
დგახარ დამშვენებული
ქამარ-ხანჯალ-ყაწიმით,
როგორც თეთრჩოხიანი
იმერელი ყმაწვილი.
ფოჩიანი კანფეტიც
ზედ გასხია მასრებად,
ალბათ, ცაში თუ მოხდა
შენი გალამაზება.

მეგობრობის მერიდიანი

# ტოლერანტული ქალბატონი

**ორთაჭალაში** ერთი ლამაზი სახლია – **მირზა ფათალი ახუნდზადეს** სახლ-მუზეუმი. კარი იღება და მაშინვე გესმის: „მობრძანდით!“ მერე ერთი სათნო, ნაზი, თეთრი პირსახის ქალბატონი ღიმილით გეგებება და იწყება დაუვიწყარი მოგზაურობა დროში. ეს ქალბატონია **ლეილა ალიევა**.

გამოჩენილ აზერბაიჯანელ მწერალს, განმანათლებელს, ფილოსოფოსს, აზერბაიჯანული დრამატურგიის ფუძემდებელს და საზოგადო მოღვაწეს – **მირზა ფათალი ახუნდზადეს** ბევრი ქართველი მეგობარი ჰყოლია, მათ შორის იყვნენ გამოჩენილი მოღვაწეები **პლატონ იოსელიანი**, **დიმიტრი ყიფიანი**, **გიორგი ერისთავი** და სხვები. მისი ნაწარმოებები უთარგმნიათ ქართულ ენაზე ცნობილ ადამიანებს. მაგალითად, **აკაკი წერეთელს** პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე კარგად შეუსწავლია აზერბაიჯანული და **მირზა ახუნდოვი** მისი ერთ-ერთი საყვარელი მწერალი ყოფილა.

მისი კომედია **„ლენქორანის ხანის ვეზირი“** პირველად აკაკის უთარგმნია, რომელიც 1898 წელს **„კრებულში“** დაბეჭდილა და იმავე წელს ქართულ სცენაზე დაუდგამთ. ხოლო მირზას პირველი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები **„პუშკინის გარდაცვალებაზე“** **იოსებ გრიშაშვილს** უთარგმნია. აღსანიშნავია, რომ **გრიგოლ ორბელიანის** აქტიური მეცადინეობით **ახუნდოვი** დაუკრძალავთ თბილისში ახლანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, ვინაიდან ქალაქის მუსლიმანთა მეთაურები წინ აღუდგნენ მის დაკრძალვას მუსლიმანთა სასაფლაოზე ან მის მახლობლად.

**მირზა ფატალი ახუნდზადეს** უზომოდ ჰყვარებია საქართველო და თბილისი. ეს სიყვარული მას კიდევ ბავშობიდან მის მასწავლებელს, აზერბაიჯანელ პოეტ – განმანათლებელს **მირზა შაფის** ჩაუნერგავს მისთვის, რომელსაც თბილისის გარდა არსად შეეძლო თურმე ცხოვრება და მის გარეშე სიცოცხლე.



ამჟამად მუზეუმში დაცულია საქართველო-აზერბაიჯანის კულტურული ურთიერთობების ამსახველი ფოტომასალა, წიგნები, დოკუმენტები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის გამოცემები აზერბაიჯანულ ენაზე. მანამდე ქალბატონმა **ლეილა ალიევამ** მიმართა აზერბაიჯანის მთავრობას, რათა მუზეუმი ყოფილიყო აგრეთვე აზერბაიჯანის კულტურის ცენტრი საქართველოში. სახლ-მუზეუმი 2013 წელს იქნა აღდგენილი საქართველოში აზერბაიჯანის ნავთობკომპანიის **„სოკარ“**-ის მიერ. ლეილა ალიევა დიდი მადლიერებას გამოთქვამს აგრეთვე საქართველოს მთავრობისადმი და საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ მათი მხარდაჭერისადმი. „ის რომ ახუნდოვის მუზეუმი და მასთან არსებული აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი ასეთ დონეზე ფუნქციონირებს, იმის დასტურია, რომ საქართველო დამოკრატიული და ტოლერანტული ქვეყანაა“, – ამბობს ქალბატონი ლეილა, რომელიც თვითონ ატარებს წოდებას „ტოლ**ერანტული ქალბატონი**“, ხოლო მის მიერ დაარსებული აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი **„ტოლერანტობის ქომაგის“** წოდებას,რომელიც მათ ევროსაბჭოსა და იუნესკოს ეგიდით დააარსებულ დღესთან დაკავშირებით მიენიჭათ.

კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ნაციონალური სიმღერის – **„მუღამის“** – წრე, არის ბიბლიოთეკა, საგამომცემლო საქმიანობა. ხალიჩების ქსოვის შემსწავლელი კურსებზე კი ქართველებიც ეუფლებიან ამ ხელობას. აქ იმართება შეხვედრები მწერლებთან, მუსიკოსებთან, კინემატოგრაფებთან, მხატვრებთან.

აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი პროპაგანდას უწევს აზერბაიჯანში ქართულ კულტურას. მაგალითად, მისი ეგიდით 60 ქართველი მხატვრის ნამუშევარი გამოიფინა ბაქოში აზერბაიჯანის ეროვნულ მუზეუმში. ცენტრი ატარებს სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს. ერთობლივი ძალისხმევით საქართველოს კულტურის სამინისტრომ, ეროვნულმა მუზეუმმა და აზერბაიჯანის კულტურის ცენტრმა **ლეილა ალიევას** ხელმძღვანელობით და **„სოკარის“** მხარდაჭერით გამოსცეს საქართველოს მუზეუმში დაუნჯებული აზერბაიჯანული კულტურის ნიმუშების წიგნი-კატალოგი, რომელიც მსოფლიოს მუზეუმებს გადაეცათ. წიგნზე იმუშავეს ქართველმა და აზაერბაიჯანელმა მეცნიერებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი აზერბაიჯანის მწერალთა კავშირთან ერთად ხშირად ქართული კლასიკური ლიტერატურის აზერბაიჯანულ ენაზე თარგმანების პრეზენტაციებს აწყობს.

**თამარ ლამპარაძე**

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 17 (4521)
23 დეკემბერი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009